



საღი მთვარე

- 📖 განსაცდელისა და უბედურების ჟამს მოთმინება.
- 📖 ყურანის მიხედვით მორწმუნე ადამიანი
- 📖 შუამავლის ურთიერთობა უფროსებთან
- 📖 გულწრფელობა
- 📖 ნაკლები ტვირთის მქონე გადაარჩა





წინასიგუეაობა

ძვირფასო მკითხველებო, მოგესალმებით მონყალე და მწყალობელი უზენაესი ალლაჰის სახელით! უზენაესმა ალლაჰმა თავისი წყალობა, მფარველობა და ბარაქა არ მოგაკლოთ. ქება-დიდება სამყაროს და მასში არსებულის, სულიერისა თუ უსულოს ერთადერთ გამჩენს, უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ ის არის ქება-დიდების ღირსი, რომელმაც უთვალისიკეთითა და სილამაზით შეამკო კაცობრიობა და მთელი სამყარო. უთვალსიკეთეს შორის ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთე არსებობს, რომელიც მხოლოდ ადამიანს ეკუთვნის და რომელიც ამ ქვეყნად მის ადამიანად მოვლინებას წარმოადგენს. ადამიანის ღირსება და ფასი იმდენად დიდია, რომ უზენაესი ალლაჰი ყურანში ულამაზეს ქმნილებად მოიხსენებს, სურა თინის მე-4 აიათში ასე ბრძანებს: **„უეჭველად, ჩვენ ადამიანი საუკეთესო ფორმად გავაჩინეთ!“**

ამ აიათიდან ნათლად ჩანს, რომ რამდენად სრულყოფილი და ლამაზი გაჩენილი არსებაა ადამიანი, რომელსაც თვით გამჩენი ზემოთ ხსენებული სიტყვებით გვამცნობს. ადამიანი თავისი გამჩენის წინაშე ღირსეული და დაფასებული მხოლოდ რწმენით ხდება. გამჩენიც ხომ გაჩენილს მისი რწმენიდან გამომდინარე ანიჭებს ღირსებას და ბედნიერებას ორთავ ქვეყნად. აქედან გამომდინარე, რწმენა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი და გამჩენთან დამაახლოებელი უმნიშვნელოვანესი გზაა. როდესაც ადამიანის გულში ჭეშმარიტი რწმენა ისადგურებს და რწმენის საშუალებით უკავშირდება თავის გამჩენს, ეს არის წარმოდგენილი სიხარული და ბედნიერება, რა თქმა უნდა, ვინც ამას გრძნობს და ითავისებს. ასე რომ რწმენის გარეშე ადამიანს არანაირი ღირსება და ფასი არ ექნება გამჩენი ალლაჰის წინაშე. ებუ ჰურაირას გად-

მოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი ჰადისში შემდეგს გვამცნობს: **„უზენაესი ალლაჰი არა თქვენს გარეგნობასა და ქონებას, არამედ თქვენს გულსა და ქმედებას უყურებს.“** (მუსლიმი, ბირი, 34. აგრეთვე იხ. იბნ მაჯე, ზუჰდი, 9).

როგორც შუამავალი გვასწავლის ადამიანის აღნაგობას, გვარეულობას, ქონებას და წარმომავლობას არანაირი ფასი არ გააჩნია, თუ არა განწმენდილი მორწმუნის გული და კეთილი ქმედებებისა. მორწმუნეობა იმდენად მნიშვნელოვანი და დაფასებული რამ არის, რომ გამჩენი ალლაჰი მორწმუნეებს ძმებად აცხადებს და ამქვეყნადვე ძმობის სტატუსს ანიჭებს. სურა ჰუჯურათის მე-10 აიათში ალლაჰი ბრძანებს: **„მორწმუნენი ძმები არიან. მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გემინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ“.** მორწმუნეების ძმებად გამოცხადებას ერთი მიზანი აკავშირებს ეს მიზანი კი გამჩენი ალლაჰის რწმენაა. როგორც ზემოთ წარმოდგენილ აიათში ვნახეთ, ადამიანის ძმობის ფასი მხოლოდ და მხოლოდ გამჩენის რწმენით არის შემოფარგლული, რწმენის გარეშე არაფერს ფასი, ღირსება და სილამაზე არ გააჩნია. რა ლამაზადაა ნათქვამი: **„თუ რწმენა გაქვს, მაშინ ყველაფერი გაქვს და თუ რწმენა არ გაქვს, მაშინ ყველაფერი დაკარგულია“.**

უზენაესმა ალლაჰმა ისლამის ჭეშმარიტ გზას არ დაგვაშოროს და სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მის წინაშე ღირსეულად მსახურება ნილად გვარგუნოს. უზენაესმა ალლაჰმა დაგლოცოთ, რწმენა გაგიძლიეროთ და მოგცეთ ღვთისმსახურების შესრულების ძალ-ღონე. უზენაესი ალლაჰი იყოს ყველგან და ყოველთვის ჩვენი შემწე და მფარველი.



ალამ შანთიაძე

განსაცდელისა და უბედურების უამს მოთმინება

ამქვეყნად ადამიანი სხვადასხვა განსაცდელისა თუ უბედურების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. ეს ქვეყანა წარმავალი და გამოცდის ქვეყანაა. ადამიანი ზოგჯერ წარმატებული იქნება, ზოგჯერ - წარუმატებელი, ზოგჯერ - დაღბნებული, ზოგჯერაც - დამწუხრებული და ა. შ. გამჩენი ალლაჰი ადამიანებს პერიოდულად სხვადასხვა განსაცდელით, შიშით, ავადმყოფობით, სიმდიდრით, სიღარიბით გამოსცდის. მთავარია, ადამიანმა თავს დამტყდარი უბედურების უამს მოთმინება გამოიჩინოს და ალლაჰს მიენდოს, რამეთუ ამქვეყნად ყველაფერი დროებითი და წარმავალია. წარმავალია სიმდიდრე, სიღამაზე, თანამდებობა, სიღარიბე, სიხარული, მწუხარება, ქონება, შვილები და სიცოცხლეც კი. მარად ცოცხალი მხოლოდ გამჩენი ალლაჰია. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მას უნდა მივინდოთ და მის იმედად უნდა ვიყოთ. ყურანში ნაბრძანებია: „და, შეჭველად, ჩვენ გცდით თქვენ ცოტა შიშითა და შიმშილით, ქონების, სულთა და ნაყოფთა ნაკლებობით. და შენ ახარე მომთმენთ, რომელთაც ენიათ რაიმე უბედურება და თქვეს: შეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და შეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ.“ (ბაყარა 2/155-156)

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.)

სასაფლავს გვერდით ჩაიარა და დაინახა ერთი ქალი, რომელიც საკუთარი შვილის საფლავზე გულამოსკვნით ტიროდა. მოესმა რა მას გამწარებული დედის მოთქმით ტირილის ხმა, უთხრა: „ალლაჰის გამო, მოითმინე და დაწყნარდი!“ ქალი ვერ მიხვდა, რომ მას შუამავალი (ს.ა.ს.) ესაუბრებოდა და უპასუხა: „გამეცალე, ის, რაც მე მენია, შენ ვერ გაიგებ, ამიტომ ასე წყნარად საუბრობ!“ ცოტა ხნის შემდეგ ირგვლივ მყოფებმა ქალს აუხსნეს, რომ ის ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) იყო, რის შემდეგაც მასთან ბოდიშის მოსახდელად მივიდა და უთხრა: „მაპატიეთ, არ ვიცოდი, თუ თქვენ შუამავალი იყავით!“ შუამავალმა კი ბრძანა: „შეჭველად, ნამდვილი მოთმინების გამოჩენა ის არის, რასაც უბედურების პირველი დარტყმის დროს გაუმკლავდები.“ (მ2140 მუსლიმი, ჯენაიზი, 15)

მსგავსი უბედური შემთხვევები შუამავალსაც (ს.ა.ს.) ჰქონდა გადატანილი. თუმცა ის ყოველთვის მოთმინებას იჩენდა და ჩვენც მოთმინებისკენ მოგვიწოდებს. ავადმყოფობისა თუ სიკვდილის ამბის გაგების შემდეგ, შუამავლის (ს.ა.ს.) დამოკიდებულება ყოველთვის მოთმინებასთან იყო დაკავშირებული. საკუთარი შვილი, იბრაჰიმი, ვერ კიდევ თვრამმეტი თვის, თვალების

ბოლომდე გახელამდე გარდაიცვალა. შუამავალმა (ს.ა.ს.) ამის გამო, როგორც მამამ, ცრემლები ვერ შეიკავა. ხოლო, მათ, ვისაც მისი ცრემლების გაუკვირდათ, უპასუხა: „ეს ლმობიერების ცრემლებია“ და იქვე დასძინა: „თვალი ტირის და გული წუხს. მაგრამ ჩვენ იმას წარმოთქვამთ, რაც გამჩენს მოსწონს. ო, იბრაჰიმ, ჩვენგან წასვლის გამო ძალიან ვწუხვართ!“ (ბ1303 ბუხარი, ჯენაზი, 43.)

ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ზეინების შვილის გარდაცვალებისას მოთმინება, სიბრალული და ერთგულება გამოხატა. ზეინებმა შუამავალს (ს.ა.ს.) შვილის მიძიმე მდგომარეობის შესახებ შეატყობინა და სთხოვა, მის მომაკვდავ შვილთან მისულიყო. შუამავალმა (ს.ა.ს.) მას სალამთან ერთად ეს შეუთვალა: „მბოძებელიც და ამრთმევიც ის არის, მის წიად ყველაფერს განსაზღვრული დრო აქვს. მოითმინოს და საზღაურს ალლაჰისაგან დაელოდოს!“ შემდეგ ზეინებმა ხელმეორედ სთხოვა მასთან მისვლა. შუამავალი (ს.ა.ს.) თავის მეგობრებთან ერთად როცა მივიდა და პატარა ხელში აიყვანა, ის სულს გამჩენს აბარებდა. ალლაჰის შუამავალს (ს.ა.ს.) თვალეები ცრემლით აევსო, რის გამოც სად ბ. უბადემ ჰკითხა: „ეს რა არის ალლაჰის შუამავალი?“ შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „ალლაჰი მხოლოდ მონყალეთ შეინყალებს“ (დ3125 ებუ დავუდი, ჯენაზი, 23-24.)

ყოველი სული სიკვდილს იგემებს. (ალი-იმრანი 3/185) ექვგარეშეა, რომ ეს ყველა ჭირისუფლისთვის დიდი ტკივილია. თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს ყველამ უნდა განიცადოს. ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანს, სიკვდილის გარდა, სხვადასხვა სირთულეც ელოდება, რომლებიც ცხოვრების თანმდევი პროცესია.

ერთხელ შუამავალმა (ს.ა.ს.) მეგობრებთან საუბრისას ჯოხით სილაზე ოთხკუთხედი შემოხაზა. შემდეგ შიგნით ერთი სწორი ხაზი გაავლო და ორივე მხრიდან პატარა ხაზები დაუმატა. შემდეგ მის გარეთ კვლავ ერთი ხაზი გააკეთა და გვკითხა, თუ იცით, ეს რა არისო. მეგობრებმა მიუგეს: ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) უკეთ იცისო. შუამავალმა ბრძანა: „ნახაზის შიგნით არსებული ხაზი ადამიანია, მის ირგვლივ პატარა ხაზე-

ბი - პიროვნების გარშემო არსებული განსაცდელეები. მათგან რომ ერთმა მიზანს ვერ მიაღწიოს, მეორე მიაღწევს. ოთხკუთხედის გარეთა ხაზები - ადამიანის ირგვლივ არსებული სიკვდილია, ხოლო ხაზგარეთ არსებული ხაზები - პიროვნების იმედი და ოცნებები.“ (იმ4231 იბნი მაჯე, ზუჰდი, 27; ბ6417 ბუხარი, რიყაყი, 4)

შუამავალმა (ს.ა.ს.) ამ ჰადისით კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ადამიანი მის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა სირთულეს თავს ისე ვერ დააღწევს, მასთან ჭიდილი რომ არ მოუხდეს. ყველაზე რთული გამოცდის წინაშე, რა თქმა უნდა, შუამავლები და საუკეთესო მორწმუნეები არიან ხოლმე.

ჩვენ თუ ისტორიას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ ღირსეული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ბრძოლაში შუამავლებსა და სრულყოფილ მორწმუნეებს უამრავი სახის სირთულე აქვთ გამოვლილი. მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს.) იმ მორწმუნეებს ამხნევეს, რომლებიც სხვადასხვა სირთულის წინაშე არიან: „მუსლიმებმა იმ სირთულეებს შეხედონ, რომლებიც მე გადავიტანე და თავს დატეხილი ყველა სირთულის წინაშე მტკიცედ დადგნენ!“ (მუნ66 მუვატტა, ჯენაზი, 14)

პიროვნების შესახებ, რომელიც განსაცდელის ჟამს გამჩენს არ ადიდებს და მოთმინებას არ გამოიჩენს, ყურანში ასეა ნაბრძანები: „ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ეთაყვანებიან ალლაჰს, მაგრამ ორჭოფობენ. თუ სიკეთე ენიათ, თავს მშვიდად გრძნობენ და თუ განსაცდელი ენიათ, უკან იხევენ. ნაგებულნი არიან ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც. სწორედ ეს არის ცხადი წარწყმედა!“ (ჰაჯი 22/11)

ადამიანი თავისი ბუნებით სიხარულთან, განსაცდელთან და სხვადასხვა სირთულესთან ერთად არსებობს. ის თავის სიცოცხლეში უამრავ სასიამოვნო თუ უსიამოვნო ეპიზოდებს გადის. სხვა ცოცხალი არსებების მსგავსად, ადამიანიც ფიზიკურად და სულიერად სხვადასხვა განსაცდელის წინაშე დგას, რის გამოც ყოველთვის ვალდებულია ყველა გამოწვევისთვის მზად იყოს და წინდახედულად იმოქმედოს. აღ-

ნიშნული განსაცდელისა და სხვადასხვა საფრთხის მიუხედავად, მორწმუნე პიროვნების რწმენა იმდენად მყარი უნდა იყოს, რომ ყველა განსაცდელს გაუძლოს და ფეხზე უფრო მყარად დადგეს. თუკი პიროვნებამ ყველა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ყველა საჭირო ზომა მიიღო და მას მაინც რაიმე განსაცდელი ენია, მაშინ, პირველ რიგში, მოთმინება ჰმართებს. მორწმუნე პიროვნებას მოთმინება და გამჩენზე მინდობა ყოველთვის ესაჭიროება. მან კარგად უნყის, რომ განსაცდელი, რომელიც მას დიადმა ალლაჰმა არგუნა, თითოეული გამოცდის სახითაა მასზე ბოძებული. (ბაყარა, 2/155) მუსლიმი ვალდებულია, ყველა გამოცდა ღირსეულად გაიაროს. როგორც შუამავალი (ს.ა.ს.) აღნიშნავს, ზოგჯერ წელშიც რომ მოიხაროს, აუცილებლად უნდა გაიმართოს და თავი ყველა სირთულეს წარმატებით დააღწიოს. ვინაიდან შუამავალმა (ს.ა.ს.) ერთხელ მორწმუნისა და ურჯულოს (ქაფირის) შედარებისას შემდეგი ბრძანა: „სხვადასხვა განსაცდელის დროს მორწმუნე დარია მცენარისთვის, რომელიც მყარად დგას მიწაში და გაუძლო საშინელ ქარიშხალს, ხოლო ურჯულო დარია მცენარისთვის, რომელსაც ქარიშხალმა ტოტები მოსტება, ან კიდევ ძირიანად მოგლიჯა.“ (7466 თევკიდი, 31; 67094 მუსლიმი, სიფათლ-მუნაფიყინი, 59)

მორწმუნე კარგად უნყის, რომ მას რაც ეწვევა - წარმატება თუ სირთულე, ორივე გამჩენისგან მომდინარეობს. გამჩენი ყველაზე კარგად უნყის იმას, თუ ადამიანმა როდის რა უნდა წარმოთქვას. ყურანში ვკითხულობთ: „ხოლო როცა შეეხება ადამიანს სიავე, მოგვიხმობს ჩვენ, მერე როცა ვუბოძებთ მას წყალობას ჩვენგან, იტყვის: „ეს მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის წყალობით მებოძა.“ იქნებ ეს გამოცდაა, მაგრამ მათი უმრავლესობა არ უწყიან“ (ზუმერი 39/49). განსაცდელისა და გამოცდის გარეშე რომ ჯილდო არ არსებობს, ამის შესახებ გამჩენი გვამცნობს: „ნუთუ გეგონათ, რომ სამოთხეში შეხვიდოდით მაშინ, როცა ჯერ არ მოგსვლიათ ის, რაც თქვენს უნინ გარდასულებს მოეწინათ? მათ უბედურება და გაჭირვება შეეხათ და ისე შეირყნენ, რომ შუამავალი და ისინიც, ვინც მათთან ერთად ირწმუნეს, ამბობდნენ: როდის შეგვეწვევა ალლაჰი?

უთუოდ, ალლაჰის შეწვევა ახლოსაა!“ (ბაყარა 2/214)

ერთ დღეს შუამავალს (ს.ა.ს.) ქააბას ჩრდილში მოსასხამი თავქვეშ შემოედო და ისვენებდა. ამ დროს მასთან ჰაბაბ ბ. ერეთი შუამავლის (ს.ა.ს.) მეგობრებთან ერთად მივიდა. ისინი ურჯულოების წამებას გამოქცეოდნენ. მათ შუამავალს (ს.ა.ს.) მიმართეს: „ჩვენთვის ალლაჰისგან გამარჯვებას არ ისურვებთ? ჩვენთვის ვედრებას არ აღავლენთ?“ მათ პასუხად შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „ან გარდასული ხალხი ერთ-ერთს შეიპყრობდნენ. ამოთხრილ ორმოში ჩაადებდნენ, შემდეგ ორ ნაწილად გადახრხავდნენ, მიუხედავად ასეთი ტანჯვისა, მას რწმენაზე უარს ვერ ათქმევინებდნენ. ასევე სხვაგვარი სასჯელით ერთ-ერთს შეიპყრობდნენ, ხორცს ძვლისგან რკინის სავარცხელით აუჩრჩავდნენ, მიუხედავად ამისა, მას რწმენაზე უარს ვერ ათქმევინებდნენ. ვფიცავ, ალლაჰი უთუოდ უპირატესყოფს ამ სარწმუნოებას, სანამ მხედარი, რომელსაც მხოლოდ ალლაჰისა და თავისი ფარის შიში აქვს მგელის თავსადხმის გამო, სანადან ჰადრამათში მშვიდობით ჩავა. მაგრამ თქვენ მეტის-მეტად ჩქარობთ“ (3612 ბუხარი, მენაყიბი, 25; დ2649 ებუ დავუდი, ჯიჰადი, 97; იფ/167 იბნი ჰაჯერი, ფუთუჰულ-ბარი, VII, 167). ამ სიტყვებით შუამავალმა (ს.ა.ს.) თავის მეგობრებს უფრო დიდი მოთმინებისა და გამძლეობისკენ მოუწოდა და იქვე მიანიშნა, რომ მომავალში ყველაფერი უკეთესად იქნებოდა.

უმეტრების ხანის მცდარი ადათ-წესების აკრძალვისას შუამავალმა (ს.ა.ს.) თანამიმდევრებს ისიც ასწავლა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ რაიმე განსაცდელის უამს და ასე ბრძანა: „რაიმე განსაცდელის დროს სახის დახოკვა, ხმამალა კვილი, ენის მოთვლა, სხეულზე სამოსის შემოხევა და თმების დაგლეჯა სასტიკად აკრძალულია“ (დ3131 ებუ დავუდი, ჯენაიზი, 24-25). შესაბამისად, ყოველივე ამის მაგივრად, ყურანის ბრძანების თანახმად, მორწმუნეებს მოთმინებისა და გამჩენზე მინდობისკენ მოუწოდა. ვინაიდან უზენაესი ალლაჰი ყურანში გვამცნობს, რომ ადამიანი სხვადასხვა განსაცდელით აუცილებლად გამოიცდება. ვინც მას მოთმინებით გადაიტანს,

მისთვის განკუთვნილ ჯილდოს დაიმსახურებს, მომთმენნი იტყვიან: „...**უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მისდა მივიქცევით ჩვენ**“ (ბაყარა 2/-156). ასევე შუამავალი (ს.ა.ს.) შემდეგს გვირჩევს: „როცა რომელიმე თქვენგანს უბედურება ეწევა, მაშინ თქვას: **„უეჭველად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და უეჭველად, მასთან მივიქცევით. ღმერთო ჩემო, დატეხილი უბედურების სანაცვლოდ შენგან საზღაურის მომადლებას ველი. შემიცვალე იგი უფრო უკეთესით!**“ (3119 ებუ დავუდი, ჯენაიზი, 17-18; მ216 მუსლიმი, ჯენაიზი). სხვა მსგავს ჰადისში კი გამჩინზე მიკედლებული მონა-მსახურის საზღაური შემდეგნაირადაა განმარტებული: „როცა რომელიმე თქვენგანს უბედურება ეწევა, მაშინ თქვას: ღმერთო ჩემო, ჩემი განსაცდელის საზღაურს შენგან ველოდები, ამის გამო, სიკეთით დამაჯილდოვე, ჩემთვის ყოველივე ეს უფრო უკეთესით შემიცვალე!“ აქედან გამომდინარე, თუ მონა-მსახური ასეთ ვედრებას ალავლენს, ალლაჰი მას აუცილებლად შეუსრულებს.

მორწმუნე პიროვნებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ სამყაროში არსებული ყველა და ყველაფერი მხოლოდ დიადი გამჩინის ნებით სრულდება, ასეთი მიდგომით, მუსლიმი ყველა უბედურებასა თუ განსაცდელს უფრო დიდი მოთმინებითა და შემართებით გადაიტანს. გონიერი მუსლიმი ყველა საქმეს სრულყოფილად შეასრულებს, შემდეგში მოსალოდნელ საფრთხეებს კარგად შეაფასებს და მომავალ საქმიანობასაც შესაბამისად დაგეგმავს. მიუხედავად ამისა, თუ კვლავ რაიმე განსაცდელი ეწევა, ყველაფერს მოთმინებით შეხვდება და გამჩინს მიენდობა.

ისლამის გავრცელების დროს შუამავალმა (ს.ა.ს.) უამრავ სირთულესა და ძალადობას გაუძლო. ყველაფერს კი მოთმინებითა და მტკიცე რწმენით იტანდა, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის საუკეთესო მაგალითია. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ თავდაპირველად მექაში სულ რამდენიმე მუსლიმი იყო. მათ უამრავი დაპირისპირება, მუქარა და ეკონომიკური ბოიკოტი გადალახეს, გარდა ამისა, მტრის ავიზრახვები ამაოდ დატოვეს და წარმატებას მიაღწიეს. მათი ესოდენ გაუტეხელი მიდ-



გომა მტკიცე რწმენის შედეგი იყო. შემდეგ, როდესაც შუამავალი (ს.ა.ს.) მექაში შევიდა, მათ მიერ მიყენებული უამრავი სახის აუტანელი ტანჯვა დაივიწყა და ამის გამო არავინ დაუსჯია, რაც ისლამის მონოდების თანახმად, მოთმინებისა და მიტევების საუკეთესო გამოვლინება იყო.

შუამავალი (ს.ა.ს.) მორწმუნეებს ახარებს, რომ ჭეშმარიტ გზაზე სიკეთის მქმნელთა სირთულეები მათთვის ცოდვების მიტევების საბაზად შეიქმნება. ასევე, აღნიშნავს, რომ სხვადასხვა განსაცდელის მოთმენის გამო, მას უამრავი ჯილდო ერგება. ჰადისში ნაბრძანებია: „**რა უბედურებაც არ უნდა ეწიოს მორწმუნეს, მისთვის ცოდვების დაფარვის საბაზად შეიქმნება, თუნდაც ეკალი გაერჭოს**“ (მ6565 მუსლიმი, ბირრი, 49; მუ1719

მუვატტა, 'ინი, 3). ამგვარად, ის თანამიმდევრებს პერიოდულად უყვებოდა წინაპართა სხვადასხვა სირთულის შესახებ, რომელიც მათ ურწმუნობის მხრიდან განიცადეს. საბოლოოდ ეს ყველაფერი მათ უფრო მეტ სიმტკიცეს ჰმატებდა და სხვადასხვა სირთულეების გადალახვაში ეხმარებოდა.

არავის სურს ვინმეს რაიმე განსაცდელი ენიოს. ყოველივე ამის გამო შუამავალი (ს.ა.ს.) ხშირად შემდეგ ვედრებას ასრულებდა: *„უეჭველად, შენ შეგეფარები ყოველგვარი დარდისა და მწუხარებისგან, სიზარმაცის, სიძუნწისა და სიმხდალისგან, ვალში ყელამდე ჩაფლობისა და ადამიანების რისხვისგან! (55478 ნესაი, ისტი'აზე; 36369 ბუხარი, დე'ავათი, 40). ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ადამიანის ყველაზე დიდ განსაცდელად სიკვდილს თვლიდა და მის ნატვრას არასდროს არავის ურჩევდა: „არც ერთმა თქვენგანმა თავსდატეხილი უბედურების გამო არ ისურვოს სიკვდილი. მაგრამ მაინც თუ უნდა ისურვოს, მაშინ შევედროს: „ღმერთო ჩემო, მაცოცხლე მანამ, სანამ სიცოცხლე სასიკეთოა და მიიბარე ჩემი სული, თუკი სიკვდილი სასიკეთო იქნება ჩემთვის!“ (5671 ბუხარი, მერდაა, 19)*

შუამავალი (ს.ა.ს.) აღნიშნავს, რომ მორწმუნის განზრახვა ყოველთვის წინა პლანზეა და ქმედებები, შესაბამისად, მნიშვნელობას იძენს (54 ბუხარი, იმანი, 41). ხოლო ის მორწმუნეები, რომლებიც სხვადასხვა სირთულის გამო თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებენ, ასე ახარებს: *„მორწმუნეს, რომელსაც სიკეთის კეთებაში ავადმყოფობა ან მოგზაურობა ხელს შეუშლის, ისეთივე მადლი დაენერება, როგორც ჯამრთელობისას ან თავისუფლად ცხოვრების დროს“ (დ3091ებუ დაუდი, ჯენაიზი, 1).*

ისლამი კრძალავს განდეგილობას, რომ ადამიანმა სხვადასხვა განსაცდელსა და სირთულეს აარიდოს თავი. ასეთი დამოკიდებულება როგორც ახლობლების, ასევე ნათესავებისა და საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებებისგან გაქცევას ნიშნავს. ზოგიერთი ცხოვრებისეული სირთულის მიუხედავად, მორწმუნე ვალდებულია, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობა შეასრულოს, სიკეთე აკეთოს და ცუდ საქმეს განერიდოს. ამიტომ

მაც შუამავალი (ს.ა.ს.) გვამცნობს: *„მორწმუნე ადამიანის მადლი, რომელიც საზოგადოებასთან ერთად თანაცხოვრობს და მათი ტანჯვით, მოთმინებით გამოირჩევა, უფრო მეტი იქნება, ვიდრე იმ მორწმუნის დამსახურება, რომელიც საზოგადოებაში არ ერევა და მათი გაჭირვებით არ იტანჯება“ (იბ4032 იბნი მაჯე, ფითენი, 23; თ2507 ტირმიზი, სიფათულ-ყიამე, 55).*

თითოეული ჩვენგანი ვალდებული ვართ, ჩვენ თავს მოვლენილი განსაცდელისგან გაკვეთილი ავიღოთ და შესაბამისად ვიცხოვროთ როგორც ამიერ, ისე იმიერ სამყაროსთვის. ყველამ კარგად ვიცით, რომ უამრავი უბედურება, სირთულე ან გაუთვალისწინებელი შემთხვევა არსებობს. თუმცა ვალდებული ვართ ნებისმიერი საქმის შესრულებისას სათანადო ყურადღება გამოვიჩინოთ და წინდახედულად ვიმოქმედოთ. თუ ადამიანი ისე ცხოვრობს, თითქოს მას არაფერი უნდა მოუვიდეს და ყოველთვის უდარდელად იქნება, ეს ყოველად დაუშვებელი მიდგომაა. სამყაროს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სხვადასხვა განსაცდელის ქვეშ ერთ დღეს ჩვენც უნდა აღმოვჩნდეთ. მუსლიმი პიროვნება ვალდებულია, ცხოვრება ისე წარმოიდგინოს, თითქოს ხვალ აღარ უნდა იყოს, მაშინ მიხვდება, თუ რა წაიმძღვარა სამარადისო სამყოფელში. ვინაიდან ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანი ამიერ სამყაროში განსაცდელისა და გამოცდისთვის არის მოვლენილი, ამიტომ მას სხვადასხვა სირთულე უფრო აძლიერებს და გამჩენის რწმენას უფრო მეტად უძლიერებს, რამეთუ მორწმუნემ კარგად იცის მის ხელთარსებული წყალობის ფასი და მოთმინება. გამჩენის კმაყოფილებისთვის შესრულებული ყველა ქმედება სასიკეთოა. აღნიშნულ საკითხს შუამავალი (ს.ა.ს.) ასე გვიხსნის: *„გასაოცარია მორწმუნის მდგომარეობა, უეჭველად, ყველა საქმე მისთვის სასიკეთოა. მხოლოდ მორწმუნის მდგომარეობაა ასეთი. თუკი მას სიკეთე ეწევა, მადლიერებას გამოხატავს, მაშინ ეს მისთვის სიკეთედ ჩაიწერება. მაგრამ თუკი მას სიავე ეწევა, მოთმინებას გამოიჩენს, მაშინ ეს მისთვის სიკეთედ ჩაიწერება“ (მ7500 მუსლიმი, ზუჰდი, 64).*

ეურანის მიხედვით მოძრუნენ ადამიანი

ქება-დიდება სამყაროს და მასში არსებული ყველა სულიერისა თუ უსულოსი, ნივთისა თუ საგნის ერთადერთ გამჩენს, უზენაეს ალლაჰს, ეკუთვნის, მხოლოდ და მხოლოდ ის არის ქება-დიდების ღირსი, რომელმაც უთვალის სიკეთითა და სილამაზით შეგვამკო კაცობრიობა და მთელი სამყარო. უთვალ სიკეთეს შორის უფრო გამორჩეული და მნიშვნელოვანი სიკეთე არსებობს, რომელიც მხოლოდ ადამიანს ეკუთვნის და რაც ამქვეყნად მის ადამიანად მოვლინებას წარმოადგენს. ადამიანის ღირსება და ფასი იმდენად დიდია, რომ უზენაესი ალლაჰი ყურანში ულამაზეს ქმნილებად მოიხსენებს, სურა თინის მე-4 აიათში ასე ბრძანებს: **„უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო“ ფორმად გავაჩინეთ!“**

ამ აიათიდან ნათლად ჩანს, რომ რამდენად სრულყოფილი და ლამაზი არსებაა ადამიანი, რომელსაც თვით გამჩენი ზემოთ ხსენებული სიტყვებით გვამცნობს. ადამიანი თავისი გამჩენის წინაშე ღირსეული და დაფასებული მხოლოდ რწმენით ხდება. გამჩენიც ხომ გაჩენილს თავისი რწმენიდან გამომდინარე ანიჭებს ღირსებას და ბედნიერებას ორთავ ქვეყნად. აქედან გამომდინარე, რწმენა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი და გამჩენთან დამაახლოვებელი უმნიშვნელოვანესი საძირკველია. როდესაც ადამიანის გულში რწმენა ისადგურებს და რწმენის საშუალებით უკავშირდება თავის გამჩენს, ეს არის წარმოუდგენელი სიხარული და ბედნიერება, რა თქმა უნდა, ამას ვინც გრძნობს და ითავისებს. ასე რომ,

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:
უეჭველად,
ჩვენ გარდმოვაკლნეთ შეხსენება (ეურანი)
და უეჭველად,
ჩვენ დამკვლნი ვართ მისი.

15/9



რწმენის გარეშე ადამიანს არანაირი ღირსება და ფასი არ ექნება გამჩენი ალლაჰის წინაშე. ებუ ჰურაირას გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი გვამცნობს:

„უზენაესი ალლაჰი არა თქვენს გარეგნობასა და ქონებას, არამედ თქვენს გულსა და ქმედებას უყურებს“ (მუსლიმი, ბირი, 34. აგრეთვე იხ. იბნ მაჯჟე, ზუჰდი, 9).

როგორც შუამავალი გვასწავლის, ადამიანის აღნაგობას, გვარეულობას, ქონებას და წარმომავლობას არანაირი ფასი არ გააჩნია, გარდა განწმენდილი მორწმუნის გული-სა და კეთილი ქმედებებისა.

რუმი შემდეგს ამბობს: „შენს სხეულს

რწმენისა და საწმენდადობა

დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ, ნუ ამყოფებ მას ყოველთვის ნეტარებაში, რადგანაც სიცოცხლის დასრულების შემდეგ განწირულია მინაში დასამარხად!“ შენ გაუფრთხილდი ყველაზე მთავარს — სულს! გაიძლიერე ის, რადგან ძლიერი ნავიდეს იქ, სადაც მისი ადგილია!“ გაუნვრთნელი და გზაცდენილი ადამიანის გული ფესვგამხმარ ხეს ჰგავს, რომლის ფოთოლიც და ნაყოფიც დაავადებულია.

ადამიანის გულშიც თუ რაიმე დაავადებაა, იგი მის სხეულს გარეგნულადაც აუცილებლად შეემჩნევა. ადამიანის გულის გასაკურნად კი საჭიროა სიძულვილის, სიამაყისა და შურის გრძნობებისგან გათავისუფლება, რომლის გაკეთებაც მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის ჭეშმარიტ გზაზე მდგომ მორწმუნეებს შეუძლიათ.

მორწმუნეობა იმდენად მნიშვნელოვანი და დაფასებული რამ არის, რომ გამჩენი ალლაჰი ძმებად აცხადებს მორწმუნე ადამიანებს და ამქვეყნადვე ძმობის სტატუსს ანიჭებს, როგორც სურა ჰუჯურათის 10 აიათში ალლაჰი ბრძანებს: „მორწმუნენი ძმები არიან. მაშ, გამოასწორეთ თქვენს ძმებს შორის არსებული და გეშინოდეთ ალლაჰისა, ეგებ შეწყალებული იქმნეთ თქვენ“. მორწმუნეების ძმებად გამოცხადებას ერთი მიზეზი აკავშირებს ეს მიზანი კი გამჩენი ალლაჰის რწმენაა.

ასევე მორწმუნე საზოგადოებად ყოფნა კაცობრიობისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გამჩენი მორწმუნე საზოგადოებას ყველაზე ხეირიან თემად მოიხსენიებს, როგორც სურა ალი იმრანის 110-ე აიათშია ნაბრძანები: „თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის“.

როგორც ზემოთ წარმოდგენილ აიათში ვნახეთ, ადამიანის ძმობის ფასი და საზოგადოების უკეთესობა მხოლოდ და მხოლოდ გამჩენის რწმენით არის შემოფარგლული, რწმენის გარეშე არაფერს ფასი, ღირსება და სილამაზე არ გააჩნია. რა ლამაზადაა ნათქვამი: „თუ რწმენა გაქვს მაშინ ყველაფერი გაქვს და თუ რწმენა არ გაქვს, მაშინ ყვე-

ლაფერი დაკარგულია“. ამ მოკლე შესავლის შემდეგ მოდით ვნახოთ, ყურანში უზენაესი ალლაჰი მორწმუნე ადამიანს როგორი თვისებებით წარმოგვიდგენს:

რომელთაც სწამთ უხილავის, ლოცვას ალავლენენ ჭეშმარიტად და რაც ვუნყალობთ, გაიღებენ იქიდან (ღვთის გზაზე); *ბაყარა 2/3*

და რომელთაც სწამთ ის, რაც ზემოგველინა შენ და რაც ზემოველინა შენ უწინარეს, მათ სჯერათ საიქიოსი. *ბაყარა 2/4*

აი ნეტარნი, რომელნიც ჭეშმარიტ გზას ადგანან თავიანთი უფლისგან. *ბაყარა 2/5*

უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი, რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს ისინი და მიენდობიან თავიანთ ღმერთს. *ენფალი / 2*

ისინი არ მოუწოდებენ სხვა ღვთაებებს, გარდა ალლაჰისა, (თანატოლს არუდგენენ). *ფურყანი / 68*

ისინი, რომელნიც თავიანთი ლოცვაში მოკრძალებულნი არიან! *მუმინუნ / 2*

ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვას იცავენ. *მუმინუნ / 9*

ისინი დედ-მამას ოჰ-საც კი არ ეტყვიან.

და ისინი, რომელნიც პირს იბრუნებენ ფუჟსიტყვაობისგან. *მუმინუნ / 3*

მორწმუნეები მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც ირწმუნეს ალლაჰი და შუამავალი მისი. მერე არ ჩაცვენილან ეჭვში და იბრძოლეს თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით ალლაჰის გზაზე. სწორედ ეგენი არიან მართალნი. *ჰუჯურათ / 15*

ხოლო მონყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ, ეუბნებიან: „სალამი“ (და ეცლებიან მათ). *ფურყან / 63*

„...იბრძოლებენ ისინი ალლაჰის გზაზე და არ შეუშინდებიან გაკიცხვას გამკიცხველისას... *მაიდე / 54*

და ისინი, რომელნიც მათზე დადებულ ალთქმანს და ანაბარს იცავენ. *მუმინუნ / 8*

ისინი მათზე მიბარებულ ამანათს არ

ულალატებენ.

ისინი მიცემულ, დადებულ პირობას ასრულებენ.

უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს.

ისინი გზად დარჩენილებს დაეხმარებიან.

„...რომელნიც არიან მკაცრი ურწმუნონის წინაშე და მონყალენი ერთმანეთთან მიმართებაში, მათ დაინახავთ რუქულის და სეჯდეს აღმსრულებლებად“. *ფეთიჰ / 29*

„რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს...“

ალი იმრანი / 134

ისინი სხვის რწმენას, რომელიც სწამთ, შეურაცყოფას არ მიაყენებენ.

ისინი უსამართლოდ არავის არ მოკლავენ.

ისინი არ გაჰყვიდიან ალლაჰის აიათებს მცირე ფასად.

ისინი სიმართლეს არცერთ შემთხვევაში არ დამალავენ.

ისინი მორწმუნეებს ურწმუნოს არ უწოდებენ.

ისინი შუამავლებს არ განასხვავებენ ერთიმეორისაგან.

ისინი ზომასა და წონაში არ მოიტყუებენ.

ისინი ჰალალს და სუფთას მიირთმევენ.

ისინი არ მონმობენ სიცრუეს და როცა ავისიტყვაობას შეესწრებიან, ღირსეულად უვლიან გვერდს.

ისინი დადებულ ფიცს არასდროს დაადრღვევენ.

ისინი ახლობლებს და ნათესავებს ეხმარებიან.

ისინი გზად დარჩენილებს და ავადმყოფებს ეხმარებიან.

ისინი მოთმინებით იტანენ უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი.

რომელნიც ლოცვას ადავლენენ და ჩვენ რაც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან. *ენფალი / 3*
ისინი ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით. *ზარიათი / 17*

მათ დაინახავთ რუქულისა და სეჯდეს აღმსრულებლებად, რომელნიც ალლაჰისგან მადლსა და წყალობას მიელტვიან. მათი ნიშნები მათ სახეებზეა, როგორც ნაკვალევი სეჯდისა. *ფეთიჰი / 29*

ისინი ადამიანებს სიკეთისაკენ მოუწოდებენ და სიგლახეს კრძალავენ. *ალი იმრანი / 110*

და რომელთაც შეისმინეს თავიანთი ღმერთის, ჭემმარიტად ადავლინეს ლოცვა და საქმე მათი ბჭობაა ერთმანეთ შორის და რაც ვუნყალობეთ, გაიღებენ იქიდან. *შურა / 38*

ისინი უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი.

და ისინი, რომელნიც ზექათის აღმსრულებელნი არიან! *მუმინუნ / 4*

სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, ნიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან. *ბაყარა / 177*



შუამავლის ურთიერთობა უფროსებთან

ის, ვინც სასტიკია ბავშვებთან და პატივს არ სცემს უფროსებს, ჩვენგანი არ არის! (თირმიზი, ბირრი, 15).

სიბერე ღვთიური დებულებებით დადებული ცხოვრების უცილობელი კანონი და სიცოცხლის გზის უკანასკნელი საფეხურია. თითოეული ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპებს გადის: ჩვილობა, ბავშვობა, ახალგაზრდობა, მონიფულობა და ბოლოსდაბოლოს საკუთარ თავში ხანდაზმულ ადამიანს აღმოაჩენს. ახლა ძალის ნაცვლად მას სისუსტე აქვს, სილამაზის ნაცვლად - შეუხედაობა, განვითარების ნაცვლად - დეგრადაცია, ჯანმრთელობის ნაცვლად - გაუთავებელი ავადმყოფობები. ყურანში ამის შესახებ ნათქვამია:

„იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ მინისგან, შემდეგ წვეთისგან, შემდეგ სისხლის კოლტებისგან. მერე გამოჰყავხართ ჩვილად, მერე მიაღწევთ ზრდასრულ ასაკამდე და რომ მერე შეიქნათ მოხუცნი. თუმც თქვენ შორის არიან ისეთნიც, ვინც კვდება უფრო ადრე. და რომ მიაღწიოთ განსაზღვრულ ვადას, ეგების მოუხმოდ გონებას.“ (მუმინი 40/67)

„და ალლაჰმა გაგაჩინათ თქვენ. მერე კი მიგიბარებთ. და თქვენგან ზოგიერთს მიაღწევენ იმ უსიამოვნო ასაკამდე, რომელიც დაავიწყებს იმას, რაც ადრე იცოდა. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყო-

ვლისშემძლეა!“ (ნაჰლი 16/70)

ალლაჰის შუამავალი გამუდმებით კითხულობდა შემდეგ ვედრებას:

„ოჰ, ალლაჰო! გთხოვ, დამიფარო სისუსტისა და შიშისგან, სიზარმაცისა და სიზარბისგან, სიბერის ჭკუასუსტობისგან!“ (მუსლიმი, ზიჟირ 50)

ოჰ, ალლაჰო! სიბერის დაუძლურებისგან შენ დავგიფარე. (ბუხარი, ჯიჰად, 25)

ის გამჩენს იმ ნეგატიური მოვლენებისგან დაცვას სთხოვდა, რომლებიც, როგორც წესი, ხანშიშესული ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი.

კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე ჭკვიანი ადამიანები მინიერი სიცოცხლის მარადიულად ქცევას ან თუნდაც მის გახანგრძლივებას ცდილობდნენ, მაგრამ ამის გაკეთება ვერავინ შეძლო. ჩვენს დროში, როდესაც მეცნიერების სფეროში ამდენი აღმოჩენაა გაკეთებული, პლასტიკური ოპერაციით შესაძლებელია სახის შტრიხების შეცვლა, ან კანის გაახალგაზრდავება. მაგრამ დაბერების პროცესისა და ადამიანის ცხოვრების ან კიდევ ხის დაჭკნობის შეჩერება ვერავინ შეძლო. სწორედ ამაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას ალლაჰის შუამავალი, როდესაც ამბობს:

„ალლაჰის მსახურნო, განიკურნეთ ავადმყოფობისგან, ვინაიდან ყოვლისშემძ-



ლე გამჩენმა, სიბერის გარდა, ყველა სწე-
ულებისთვის წამალი გააჩინა“ (ებუ დაუდი
თიბბ 1, თირმიზი თიბბ 2).

გამოდის, რომ დაბერების პროცესი
შეუქცევადია და მისი შეჩერება პრაქტიკუ-
ლად შეუძლებელია. ამიტომ ჯერ კიდევ სი-
ბერის დადგომამდე თითოეულმა ინდივიდ-
მა სიცოცხლის კაპიტალი რაციონალურად
უნდა გამოიყენოს, ანუ რაც შეიძლება ბევრი
ღვთისნიერი საქმე უნდა შეასრულოს. ერთ-
ერთ ჰადისში იმათ შესახებ, რომლებიც ისე
მოხუცდნენ, რომ არცერთი ღვთისნიერი
საქმე არ შეუსრულებიათ, ნათქვამია, რომ
უზენაესი ალლაჰის წინაშე თავს ვერანა-
ირად იმართლებენ. როგორც უკეთილ-
შობილესმა მუჰამედმა აღნიშნა:

„უზენაესმა თავის მართლების უფ-
ლება მოაკლო მათ, ვინც 60 წლის ასაკს
მიღწიეს!“ (ბუჰარი რიყაყ 5)

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ
მაშინაც კი, თუ ფიზიკური სხეული
ბერდება და ძალების გარეშე რჩე-
ბა, სული უკვდავია. ადამიანის
ბუნება ისეთია, რომ მას დაბე-
რება და სიკვდილი არ უნდა. რო-
გორც უკეთილშობილესი მუჰამე-
დი ამბობდა:

„მოხუცის გული არასდროს
ბერდება ორ რამესთან დაკავში-
რებით: მარადიული ცხოვრებისა
და ქონების დაგროვებისკენ მისწ-
რაფება“ (მუსლიმი ზეჟათი 113/114).
კაცობრიობის მამის, ადამ შუამავლის
მოსატყუებლად ეშმაკმა შეითანხმა ადა-
მიანის ბუნებაში ჩადებული სისუსტე -
უკვდავების მიღწევა.

ამის შესახებ ყურანში ნაბრძანებია:

„მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მას,
უთხრა: „ჰეი, ადამ! გინდა გაჩვენო ხე მარა-

დისობისა და მეუფება მარადიული?“ (თაჰა
20/120)

ერთი შეხედვით, იმის შემდეგ, რაც
ადამიანს სიბერეში ფიზიკური ძალები და
გრძნობები უსუსტდება, ხანგრძლივი სი-
ცოცხლის სურვილიც უნდა შეუსუსტდეს.
მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება. იმათ-
ვის კი, რომლებმაც მშვენივრად იციან იმის
შესახებ, რომ ნამდვილი სიცოცხლე იმ ქვე-
ყანაშია და ამისთვის ემზადებიან, სიკვდილი
არის სულის განთავისუფლება ფიზიკური
სხეულის მჭიდრო გარსისგან და ამ სულის
უკიდევანო სამყაროში გაფრენა, ხოლო სი-
ბერე არის უკანასკნელი საფეხური, რომ-
ლის შემდეგაც იწყება ახალი, ნამდვილი
სიცოცხლე.

ისლამური კანონების ჭრილში მო-
ხუცი ადამიანების მდგომარეობის გან-
ხილვით ნათელი ხდება, რომ მათ მი-
მართ უფრო მეტი ყურადღება უნდა
გამოვიჩინოთ, ვიდრე ბავშვების
მიმართ. ამიტომ არავითარ შემთ-
ხვევაში არ უნდა გავანანყენოთ
მოხუცები, რადგან წლებთან ერ-
თად ისინი უფრო მგრძობიარენი
ხდებიან. აუცილებელია, გაგებით
მოვეკიდოთ მათ ზოგიერთ საქ-
ციელს და შესაძლებლობის მიხედ-
ვით, შევეცადოთ მათი დალოცვის
მიღებას. გარდა ამისა, მხედველო-
ბიდან არ უნდა გავუშვათ, რომ მო-
ხუცების არსებობა სიუხვის გაზრდას
უნყოფს ხელს, ყოველგვარი გაჭირვები-
სა და უბედურებისგან დამცავ თავისებურ
ფარს წარმოადგენს. ალლაჰის შუამავალი
ამბობდა:

„ყურადღებით მოექეცით სუსტებსა
და ღარიბებს, ვინაიდან მათი არსებობის
წყალობით ალლაჰი გეხმარებათ და თავის





წყალობას გინევთ!“ (ებუ დაუდი ჯიჰადი 69)

„რომ არ ყოფილიყვნენ ნახევრადმობრილი მოხუცები, დედის ძუძუს მწოველი ჩვილები და ველზე მწოველი ცხოველები, თქვენზე დაუსრულებელი ნაკადებით სხვადასხვა უბედურება გარდმოდინდებოდა!“ (ჰაისამი 10/227)

ამ ჰადისებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ზიზნარევი დამოკიდებულება მოხუცებისადმი და მათი სწრაფი სიკვდილის სურვილი ისლამში კატეგორიულად არის აკრძალული. ამიტომ იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ ნამდვილი მუსლიმი მშობლებს გაანაწყენებს და მათ მოხუცთა თავშესაფარში ჩააბარებს. პირიქით, ნამდვილი მართლმორწმუნე, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველა პირობას შექმნის იმისათვის, რომ მათ დარჩენილი სიცოცხლე ბედნიერ გარემოში გაატარონ. ახალგაზრდა, რომელიც მოხუცთა დალოცვის დამსახურებისკენ ისწრაფვის, ხვალ თვითონ დაბერდება, მაგრამ თავისი ერთგულებისა და მონდომების წყალობით, ალლაჰის ნებით, ასევე ალერსითა და ზრუნვით იქნება განებივრებული. ტყუილად როდი ამბობდა ალლაჰის შუამავალი :

„ახალგაზრდა ადამიანს, რომელმაც ხანდაზმული ასაკის გამო მოხუცის მიმართ პატივისცემა გამოავლინა, სიბერეში გამჩენი შეინყალებს და გაუგზავნის ადამიანებს, რომლებიც მას მოუვლიან“ (თირმიზი ბირ 75).

სხვა ჰადისში ნათქვამია, რომ პატივისცემა თეთრწვერა მოხუცისადმი ალლაჰის ძლიერების წინაშე ქედის მოდრეკის გამოვლინებაა. (ებუ დაუდი ადაბი 20)

შუამავალი თანამიმდევრებს მოხუცი ადამიანებისთვის კარგი პირობების შექმნას და როგორც მინიერ, ასევე იმქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში მათ დახმარებას ურჩევდა. როგორც ცნობილია, აფრთხილებდა რა იმამებს, რომლებიც კოლექტიურ ნამაზებს ძალიან ახანგრძლივებდნენ, მათ შემდეგ გარემოე-

ბებზე მიუთითებდა:

„როდესაც რომელიმე თქვენგანი ნამაზს წინამძღოლობს, იკითხოს მოკლედ, რადგან მომლოცველთა შორის სუსტები, ავადმყოფები და მოხუცი ადამიანებიც არიან!“ (ბუჰარი ილმი 28)

ენეს ბინ მალიქის მონათხრობის მიხედვით, ერთხელ ალლაჰის შუამავალთან შეხვედრის მსურველი ვიღაც მოხუცი მოვიდა. იქ მყოფმა ადამიანებმა მას გზა უხალისოდ დაუთმეს და გაატარეს. შეამჩნია რა ეს, უკეთილშობილესმა მუჰამედმა წამოიძახა:

„ის, ვინც სასტიკია ბავშვებთან და პატივს არ სცემს უფროსებს, ჩვენგანი არ არის!“ (თირმიზი ბირ 15)

წყაროებში მოცემულია რომ, როდესაც მუსლიმთა მიერ მექას ალების შემდეგ აბუ ბაქრმა თავისი მოხუცი მამა, აბუ კუხაფე ისლამის მისაღებად უკეთილშობილეს მუჰამედთან მიიყვანა, ამ უკანასკნელმა შენიშნა:

- შეგეძლო ეს მოხუცი არ შეგენუხებინა და მისთვის უხერხულობა არ მიგეყენებინა, მე მასთან თვითონ მივიდოდი.

აბუ ბაქრმა უპასუხა:

- უმჯობესია, ის თავად მოსულიყო თქვენთან! (იბნ ჰიშამი 4/25)

ალლაჰის შუამავლის ასეთი დელიკატური დამოკიდებულება აბუ კუხაფეს მიმართ აიხსნებოდა არა მხოლოდ იმით, რომ ის თავის ერთგულ თანამოაზრ, აბუ ბაქრს სცემდა პატივს, არამედ იმითაც, რომ ის ყველა ხანდაზმული ადამიანის წინაშე პატივისცემას გამოხატავდა.

მეორე მხრივ, როდესაც მეომრებს ბრძოლისთვის აგზავნიდა, ის დაბეჯითებით ითხოვდა, რომ ქალებს, ბავშვებს, სუსტებსა და მოხუცებს არავითარ შემთხვევაში არ შეხებოდნენ (ვაჟიდი მაგაზი 2/758).

როგორი ბედნიერნი არიან ჭეშმარიტების გამგები და ყოვლისშემძლე გამჩენის მპოვნელი მოხუცები! როგორი ბედნიერი არიან ის ადამიანები, რომელთაც მოხუცების ნამდვილი ფასი გააცნობიერეს და მათ მიმართ ღირსეულ პატივისცემას იჩენენ.

ჰეი, თქვენ, ტომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!

სურა თევე, 9/119

გულწრფელობა

რეზო მიქელაძე

დიადი გამჩენი ბრძანებს: ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!
სურა თევე, 9/119

ეს აიათი იმ სამი საჰაბის შესახებ შემდგომი აიათების შემდგომ მოვევლინა, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს და ალლაჰმა მათ შეუწოდო. მუსლიმებს თავიანთი რწმენით, დადებული ალტყმით, განზრახვითა და ასევე ქცევის თვალსაზრისით მართალთა გვერდით დგომისკენ მოუწოდებს.

სიდეის ლექსიკური მნიშვნელობა ჭეშმარიტებაა. თუმცა აიათში ალლაჰის შუამავლის საჰაბების აღმნიშვნელია. აქედან შეგვიძლია შემდეგნაირი დასკვნა გამოვიტანოთ, ალლაჰის შუამავლის საჰაბების გზაზე მოსიარულე ადამიანებზე მიყოლას,

მსახურს, ღვთისმოშიშებას შეჰმატებს და აქედან გამომდინარე, ამიერ და იმიერ ნეტარებას აზიარებს.

მართალთა გვერდით დგომა ხომ ისედაც სიმართლეზე მხარის დაჭერაა.

მართალი კაცებისა და ქალებისთვის...
სურა აჰზაბი, 33/35

ეს აიათი ხაზს უსვამს სიტყვის, ქცევისა და საქმის ყოველმხრივ გულწრფელობას, რომელსაც ორ უმნიშვნელოვანეს შედეგამდე მივყავართ. ნარსულის შეცდომების მიტევება...(მალფირეთი) და მომავალში ჯილდო (მუქაფათი)...რომელიც ნარსულისა და მომავლის გარანტიას გვაძლევს.

მორჩილება და სიტყვა კეთილი, ხოლო როცა გადაწყდა საქმე, მაშინ რომ რწფელი ყოფილიყვნენ ალლაჰისადმი, უთუოდ

რწმენისა და სწავლების



მათთვის უკეთესი იქნებოდა. (სურა მუჰამმედი, 47/21)

ჰიჯრეთის შემდგომ, როცა მედინაში მუსლიმები მომძლავრდნენ, მათგან ნაწილმა მოწინააღმდეგის წინაშე ომის ნებართვის აიათის მოვლენა ისურვა. ხოლო როცა ომის წარმოების ნებადამრთველი აიათი მოველინა, „ორპირებმა“ ყოყმანი დაიწყეს. ადამიანს, რომელსაც გულში რწმენა არ აქვს გაჟღენთილი, რომელსაც სრულად არ აქვს აღქმული ადამიანის დედამიწაზე მოვლინების არსი, რომელიც მხოლოდ ამიერი ცხოვრების სიტკბოებისკენ იღწვის, რა თქმა უნდა მისთვის ბრძოლა არ იქნება სასურველი... მათ ხომ მხოლოდ ღვთის მიერ მოვლენილი ბრძანებების მორჩილება მართებდა.

გულწრფელობის დადასტურებას ხომ რაღაცა სამაგიეროს გაღება სჭირდება. მისგან სარგებელს კი მხოლოდ უანგაროდ სამაგიეროს გამღებნი ჰპოვებენ.

მუსლიმს სიტყვაში, საქმესა და ყველა მოქმედებაში მხოლოდ გულწრფელობა და ერთგულება შეეშენის.

აბდულლაჰ იბნი მესუდის გადმოცემის თანახმად, ალლაჰის შუამავალმა შემდეგნაირად ბრძანა: „უეჭველად, სიმართლე

უნინამძღვრებს ღვთისმოსაობისკენ, ხოლო ღვთისმისაობა სამოთხეში დაამკვიდრებს. სანამ ადამიანი სიმართლეს ღალატებს, ის ალლაჰის წილად გულწრფელად არის მიჩნეული. სიცრუე კი უნინამძღვრებს ბოროტებად და ბოროტება კი – ცეცხლამდე, და ვიდრე ადამიანი ცრუობს, ის ალლაჰის წილად მატყუარად არის მიჩნეული“ (ბუხარი, ედები, 69; მუსლიმი, ბირრი, 103-105).

ამ ჰადისში განხილულია ოთხი მნიშვნელოვანი ტერმინი., რომლებიც ორ ჯგუფად, ერთერთის ანტონიმებად არის მოხსენებული: სიდიყი (სიმართლე) - ქიზბი (სიცრუე), სიკეთე (ბირრი) - ბოროტება (ფუჯური). ამ ტერმინებთან ურთიერთდამოკიდებულებაში სიდიყი (მართლისმთქმელი) და ქეზაბი (მატყუარა), აღმატებული ხარისხის ანტონიმები, ზედსართავ სახელებად არის მოხსენებული და შედეგსაც სრულებით ნათელყოფს.

სიდიყი - საქმითა და სიტყვით ალალმართლობაა, ხოლო ქიზბი - სრულად საპირისპირო.

ბირრი - ყოველგვარი სიკეთისა და სიქველის შემცველია. ხოლო ჰუჯური - ბოროტებისკენ ლტოლვასა და ყოველგვარი ცუდი საქმის ჩადენას ნიშნავს.

სიდდიყი - ალალმართალისა და გულწრფელობის შემცველი ადამიანის თვისებაა, ხოლო ქეზაბი - მატყუარას აღმნიშვნელი თვისება. ორივე სიტყვა აღმატებულ ხარისხში არის გადმოცემული. გულწრფელობა - სიკეთისკენ, ხოლო სიკეთე სამოთხისკენ უნინამძღვრებს. ვინც სიტყვასა და საქმეში მართალი იქნება, მას აღთქმული აქვს შუამავალთა შემდგომ ყველაზე უმაღლესი ხარისხი (სურა ნისა 4/69). ამასთან ერთად უზენაესი ღმერთი სურა თევბეს 119-ე აიათში მართალთა გვერდით დგომას ბრძანებს: **ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!**

სიცრუე და ტყუილი ყველა ცუდი საქმის საწინდარია, რომელსაც ბოროტებამდე მიჰყავს, ხოლო ბოროტება ჯოჯოხეთისკენ უნინამძღვრებს. რადგან, ვინც სიცრუის სამოსელში გაეხვევა ალლაჰის წილად ცრუდ

ჩაინერება. ეს უმნიშვნელოვანესი დასკვნა და შეგონებაა, რომელიც კატეგორიულად უსვამს ხაზს იმას, რომ ისლამში თაღლითობას ადგილი არ მოეპოვება.

ებუ მუჰამმედ ჰასან იბნი ალი იბნი ებუ ტალიბმა (რ.ა.) გადმოგვცა: ალლაჰის შუამავალისგან (ს.ა.ს.) გავიგონე:

„დათმეთ ის, რაც საეჭვოდ გეჩვენებათ იმისთვის, რაც უეჭველია, რამეთუ ჭეშმარიტება გულს სიმშვიდეს მოჰგვრის, ხოლო სიცრუე კი – ეჭვს.“ (თირმიზი, ყიამეთი, 60)

ეჭვისა და უეჭველის გამოსაცნობ ხელსაწყოდ მუსლიმის გული არის მიჩნეული, ვინაიდან გული ჭეშმარიტებით დამშვიდდება და სიცრუით ორჭოფობაში ჩავარდება.

ებუ ჰურაირას ერთ-ერთი სუსტი გადმოცემის თანახმად: ალლაჰის შუამავალს ეკითხებიან, თუკი როგორ უნდა განარჩიონ ეჭვი უეჭველისგან – *„ხელი გულზე დაიდევ, რადგან გულს აკრძალულისგან ეშინია, ხოლო ნებადართულისგან სიმშვიდეს ჰპოვებს.“ (ჰეისემი, მეჯმუ'უზ-ზევაიდი, 294)*

ხელის გულზე დადება და პულსის მოსმენა დღეისათვის სიცრუის დეტექტორს გვაგვონებს, რომელიც ერთგვარი ფსიქოლოგიური მეთოდია.

ნებადართულისა და აკრძალულის შეგრძნება ეჭვის წინაშე ყურადღების გამოჩენით არის შესაძლებელი. განსაკუთრებით დღეისათვის, როცა აკრძალულების ბარიერი აშკარად ილახება, ეს თემა უფრო ყურადსაღები და დასაფიქრებელია. ეჭვისგან შორს დგომა მუსლიმს ცოდვის ჩადენის შიშისგან დაიცავს.

ებუ სუფიანი საჰრ იბნი ჰარბი (რ.ა.) გვიამბობს, რომ როდესაც ჰერაკლიუსმა ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მოძღვრების შესახებ ჰკითხა, უპასუხა, რომ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) გვიანდერდა: *„თაყვანი ეცით მხოლოდ ალლაჰს და მას არაფერი თანაუზიაროთ. და ხელი აიღეთ იმაზე, რასაც თქვენი წინაპრები ქადაგებდნენ.“* და აგრეთვე მან გვიბრძანა *ლოცვა, სიმართლის თქმა, სპეტაკად ცხოვრება და ნათესაური კავშირების განმტკიცება. (ბუხარი, ბედულ ვაჰი, 6; სალათი, 1; სადაყა, 28; მუსლიმ,*

ჯიჰადი, 74)

ჰუდეიბის შეთანხმების შემდეგ ალლაჰის შუამავალმა მეზობელი სახელმწიფოების ლიდერებს ისლამში მოპატიჟების წერილები დაუგზავნა. წერილებთაგან ერთ-ერთი ბიზანტიის მეფეს, ჰერაკლიუსს, გაუგზავნა. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჰერაკლიუსზე, რომელიც ამდროს იერუსალიმში იმყოფებოდა, შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ს.) შესახებ ინფორმაციის მოგროვება გადანყვიტა და იმდროს ვაჭრობის მიზნით დამასკოში მიმავალი მექელი ვაჭრები სასახლეში მიიპატიჟა. ებუ სუფიანს ალლაჰის შუამავალის შესახებ ჰკითხა, რომელიც ჰადისში არის მოთხრობილი.

სიმართლე ხომ ყველა შუამავალის საერთო თვისებაა. განსაკუთრებით შუამავალი მუჰამმედი, ვიდრე შუამავლურ მისიას მიიღებდა, არაბებს შორის ისედაც ხომ მართალ ადამიანად აღიქმებოდა, მას ხომ სახელად სანდო შეარქვეს. ამ ჰადისში ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) მოძღვრების ჭეშმარიტებას თვით შუამავლის მტერი აღიარებს, რადგან ებუ სუფიანმა ეს მაშინ აღიარა, როცა ჯერ კიდევ წარმართი იყო.

სეჰლ იბნი ჰუნეიფე (რ.ა.) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: *„ის, ვინც ალლაჰს რწმენილი გულით მონაშემობას სთხოვს, ალლაჰი მონამის სტატუსს მიანიჭებს, თუნდაც საკუთარ საწოლში გარდაიცვალოს.“ (მუსლიმი, იმარე, 157; იბნი მაჯე, ჯიჰადი, 15)*

გულწრფელობა მხოლოდ საქმითა და ლაპარაკით როდი შემოიფარგლება, ასევე საჭიროა წრფელი გულით განზრახვა.

როდესაც ღმერთისგან რამეს ითხოვ, აუცილებელია წრფელი გულით შესთხოვო. ეს ჰადისი ხომ აშკარა მაგალითია ამის. ეს ასევე დასტურია იმის, რომ ადამიანი, რომელიც წრფელი გულით შესთხოვს ღმერთს, ფაქტიურად რომ არ განხორციელდეს, თვისობრივად მაინც მიაღწევს. ჩვენი რწმენის შესაბამისად სიკვდილის სურვილი აკრძალულია, თუმცა ღვთის გზაზე მონამედ დაცემა დაშვებულია. სიკეთის შეთხოვნა კარგ ქმედებადაა მიჩნეული.

გულწრფელობა სინამდვილეში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამის გამო ალლაჰი მას მონამის სიმაღლეზე აყენებს. ამის საპირისპიროდ, ავი ზრახვის მქონე ადამიანს ალლაჰი ჯოჯოხეთში გაამნესებს, თუნდაც ის ღვთის გზაზე მონამედ დაეცეს.

ებუ ჰალიდ ჰაქიმ იბნი ჰიზამი (რ.ა.) მოგვითხრობს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „საქმიანი გარიგების დროს ორივე მხარეს აქვს მისი ანულირების საშუალება, ვიდრე ერთმანეთს გაეცლებიან. თუკი ისინი სიმართლეს ეუბნებიან და ყველაფერს უხსნიან ერთმანეთს (მაგალითად: გამყიდველი და მყიდველი არ იტყუებიან, ერთი საქონელთან, ხოლო მეორე ფულთან მიმართებაში), მათი გარიგება ბარაქიანი იქნება. ხოლო თუ რამეს დამალავენ და მოიტყუებენ, მათი გარიგება განწირულია უნაყოფოდ.“ (ბუხარი, ბუიუ’ი 19, 22, 44, 46; მუსლიმი, ბუიუ’ი, 47)

ყიდვა-გაყიდვის დროს ნივთის ნაკლოვანების ან ფულის წყაროს კონკრეტული განმარტება ძირითადი დებულებაა. მართალი სიტყვა ვაჭრობაში ბარაქის საწინდარია, მაგრამ თუკი პირიქით მოხდება, ამგვარი ვაჭრობა სიკეთესა და ბარაქას ვერ მოიპოვებს. ეკონომიკაში მართალ სიტყვას დაუდებელი ფასი გააჩნია.

ეს ჰადისი მოგებისა და სარგებლის ცნების ზნეობრივ და ეთიკურ განზომილებას გვიყალიბებს. აქედან გამომდინარე, ვაცნობიერებთ, რომ სარგებელი ან მოგება მხოლოდ ციფრებით არ განისაზღვრე-

ბა. მასში ასევე ხვავი-ბარაქისა და სიკეთის მხარეც არსებობს, ე.ი. კანონიერების, რომელიც ალალ-მართლობით განმტკიცდება. ტყუილის თქმით ან საგნის ნაკლოვანების დაფარვით, უფრო სწორედ მოპირდაპირე მხარის შეცდენით შეიძლება მონაგარი აჩვენოს, თუმცა ეს მუსლიმის საქციელისთვის ყოველად შეუსაბამოა, რამეთუ ალლაჰის შუამავალი სხვა ჰადისში ბრძანებს: „ის, ვინც ჩვენ მოგვატყუებს, ჩვენიანი არ არის.“ (მუსლიმი, იმანი, 164) მაშ, მუსლიმის ნამდვილი მონაგარი, ყველა საქმეში მუსლიმურად ე.ი. პატიოსნად მოქცევაა. მართალი სიტყვა, განსაკუთრებით საზოგადოების უფლების ხელყოფის თემების ირგვლივ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

აქედან გამომდინარე რეკლამის დროს აუცილებელია გეგმაზომიერება და ინფორმაციულობა, ნივთის თვისებების დეტალური და სწორი გადმოცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპირდაპირე მხარის შეცდენა იქნება, რომლისგან მოხვეჭილი ქონება ბოლოს და ბოლოს წარიხოცება და ვერავინ ვერ ნახავს სარგებელს, და ამის შესახებ უამრავი მაგალითი არსებობს საზოგადოებაში.

„არაკანონიერი შემოსავალი,“ „შავი ფული“ - მსგავსი ტერმინები მუსლიმის პატიოსნების თვისების საპირისპიროა. მუსლიმს ყოველ შემთხვევაში პატიოსნება და ალალ-მართლობა შეშვენის, რადგან ხვავი-ბარაქა სწორედ, რომ პატიოსნებაში ინახება.



ნაკლები ზვირთის მეონე გაღარჩა

სელმან ფარისი შუამავლის (ს.ა.ს) მიმდევართაგან ერთერთი გამორჩეული იყო, რომელიც წმინდა წიგნის ყველაზე კარგად მცოდნეთა შორის ირიცხებოდა და იმ დროისათვის ყველა მასზე საუბრობდა. მისი ქმედებები აკვირვებს დღევანდელ მორწმუნეებს და მათთვის მაგალითი და გაკვეთილია.

ერთხელ მასთან სტუმრად მისულთ სახლში მხოლოდ ერთი წმ. წიგნი ყურანი და ერთიც ხმალი დახვდათ, სელმან ფარისმა სტუმრებს აუხსნა, თუ რისთვის დაარიგა ქონება, რომ მას ელოდა მძიმე მგზავრობა საიქიოსკენ. იგი აღებულ ხელფასს (როცა საჯარო მოხელე იყო) ყოველთვის მთლიანად არიგებდა, ხელით რალაც ნაკეთობებს აკეთებდა, ყიდდა და საქმლისათვის ფული ყოველთვის ჰქონდა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მასთან ები ვაყასი მივიდა, მას ცოტათი დალონება შეამჩნია (მიუხედავად იმისა, რომ შუამავალი მისგან კმაყოფილი იყო) და როცა მიზეზი იკითხა, ასეთი პასუხი მიიღო:

-- მეგობარო, სიკვდილის წინ შუამავალმა ასეთი სიტყვები ბრძანა: „ამქვეყნად იყავით მარტოხელა მგზავრებივით“. ამ სიტყვების გაგონების შემდეგ ები ვაყასმა სელმან ფარისის ოთახი შეათვალიერა, სადაც მხოლოდ რამდენიმე თეფში მოხვდა თვალში. ამ ძვირფას თანამიმდევარს თითქმის არაფერი ჰქონდა სახლში, მაგრამ ისე იმაზე დარდობდა, თუ როგორ გასცემდა უდიდესი ალლაჰის წინაშე პასუხს.

როცა მედინაში საერო სამსახურში იყო, ერთხელაც თავსხმა წვიმა წამოსულა ციდან. ამ დროს მედინას მცხოვრებლები ქონების გადასარჩენად წყლის მორევში სიცოცხლესაც კი იმეტებდნენ, ხოლო ჩვენი გმირი, სელმან ფარისი, თავისი მცირე ქონებით, რომელიც პატარა ხურჯინში ჩაატია, ამაღლებულ ადგილას ავიდა და ხმამაღლა წამოიძახა: „ჰეი, მუჰამედის თანამიმდევარნო, გადარჩა ის, ვისაც ნაკლები ტვირთი აქვს“.

ძვირფასო მკითხველნო! ჩვენც საიქიოს გზაზე სამგზავროდ გზაში ჩამდგარი მგზავრები ვართ. წინ დიდი აღმართი გვაქვს გადასავლელი, უნდა გადავიაროთ. ამიტომაც რაც ნაკლები გვექნება ტვირთი, ჩვენთვის უკეთესია. სიმძიმეები, რომელიც ჩვენს ხელში, გულში, თვალში გონებაში და ა.შ. გვაქვს, ხელს გვიშლის მგზავრობაში. საერთოდ, ტვირთით ვაკეზე ძნელია სიარული და აღმართზე ასვლაზე ხომ საუბარი ზედმეტია.

საკუთარ ქონებას გადავხედოთ და შევეცადოთ გავცეთ კითხვებს პასუხი: ჩვენ ვართ მათი პატრონი, თუ ისინი დაგვეპატრონენ ჩვენ? ჩვენი მიზნები (ღმერთთან დაახლოება) ქმედებების შესაბამისია? ჩვენ ამ ქონების ანგარიში როგორ უნდა ჩავაბაროთ? როცა ამ სიმძიმის ტვირთი გვაქვს, გული როგორ უნდა დავიმშვიდოთ? ტვირთი როგორ შევიმსუბუქოთ?

თუ ზემოთხსენებული მიზანი გვაინწყდება, ეს არის ზუსტად ასეთი ტვირთის ბრალი. ეს შეიძლება იყოს ქონება, სიტყვები, ქმედებები, ურთიერთობები და ა.შ.

არ არის, რათქმაუნდა, ქონება ცუდი, არც ამქვეყნიური ურთიერთობები, ოღონდ ჩვენ არ უნდა ვაქციოთ ისინი ცუდად. რაც ხელთ გვაქვს და რითაც ვსულდგმულობთ, თუ ისინი ვერ გამოვიყენეთ შესაბამისად, მხოლოდ მაშინ მიიღებენ ისინი ტვირთის სახეს.

უდიდესი ალლაჰის ჩვენზე მოცემულ სიმდიდრეებს, ვინმე ჰარამად ვერ გადააქცევს, მაგრამ თუ მათი სწორად გამოყენება ვერ შევძელით, უმაღვე იქცევა ტვირთად. შეიძლება ამ ტვირთის შემსუბუქება და შემდეგ მთლიანად გადაგდება ასეთი მეთოდებით: მაგ. ქონების ტვირთს - ზეჟათის გაცემით, სიტყვების - სწორი საუბრით, ქმედებებისა და ურთიერთობის ტვირთს - ალლაჰის ბრძანებების შესრულებით. საქმე, რომ გავკვიადვილდეს, ყველაზე პირველი გასაკეთებელი საქმე ამ შემთხვევაში არის გულის განწმენდა ყოველგ-



რქლებსა და საწმინდაობა

ვარი ბოროტი ფიქრებისა და ზრახვებისაგან. ასეთი მეთოდები მათ სახეს მთლიანად შეცვლის და მათ უკვე ტვირთი აღარ ერქმევა.

განმდინილი და გამდიდრებული გულის ამქვეყნისკენ ხედვა, ამქვეყნიური სიყვარული უფრო სხვანაირია. გამდიდრებული გულის პატრონმა იცის, რომ ის უღარიბესია, ხოლო ალლაჰი - უმდიდრესი. გულის სიმდიდრე არ ნიშნავს მხოლოდ უდიდეს ალლაჰზე ფიქრს და იმ ყველაფრის მიტოვებას, რაც მასზე ჰალალია. უდიდესი ალლაჰის ძლიერებასთან და მის ყოვლიშემძლეობაზე ფიქრთან ერთად ადამიანი უნდა ფიქრობდეს ჰალალ სარჩოზე, ასევე იმ ქმედებებსა და ურთიერთობებზე, რომლებიც ალლაჰისთვის მისაღებია. ყველაფერს რომ ალლაჰის საზომით შეაფასებ, ეს უკვე გულის სიმდიდრეა, რომელიც ყოველგვარ ტვირთს შეგიმსუბუქებს და მოგაცილებს. სურა ნისას 77-ე აიათით უდიდესი ალლაჰი ბრძანებს: **„ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნება ხანმოკლეა, საიქიო ცხოვრება იმათთვის უკეთესია, ვინც ღვთისმოსიშია...“**

„ვინც საიქიოზე იფიქრებს, ღმერთი იმას გულს გაუმიდრებს, საქმეებს გაუადვილებს, ამქვეყნიურს მოთხოვნის გარეშე მისცემს, ხოლო ვინც ამ ქვეყანაზე იფიქრებს, უდიდესი ალლაჰი მას გულს გაუღარიბებს. ამქვეყნიური საქმეების აწყობას არ აღირსებს და მხოლოდ იმდენს მიიღებს, რაც ნილად ერგო ალლაჰისაგან.“ (თირმიზი, სიფათულ ყიაამე - 3 ა)

გულის სიმდიდრე თვით თავისუფლებაა, დამოუკიდებლობაა. ვინც გულით მდიდარია, მას ტვირთი მსუბუქი ექნება. რადგანაც მდიდარ გულს ამქვეყნიური ტვირთი ვერ დაამძიმებს, ამიტომაც ვედრებისას, ღმერთს გულის გამდიდრება უნდა ვსთხოვოთ.

ჰიჯრეთის მე-9 წელს შუამავალს თუჯიბის მხარეიდან 13 კაციანი ჯგუფი ესტუმრა, რომელთა შორისაც ერთი ახალგაზრდა კაცი იმყოფებოდა, რადგანაც ასაკით ყველაზე პატარა იყო, იგი შუამავალამდე არ მიუყვანიათ და პირუტყვების მეთვალყურედ დატოვეს. ეს ადამიანები რამდენიმე დღე მედინაში დარჩნენ, შუამავლისგან საჩუქრები მიიღეს, როცა უკან ბრუნდებოდნენ, შუამავალმა იკითხა: ვინმე ხომ არ გამოგრჩათ? მათ გაახსენდათ ახალგაზრდა კაცი და უმაღვე ისიც შუამავალთან მიიყვანეს, მასაც დანარჩენებზე საჩუქარი მოუტანეს, მაგრამ საჩუქარზე უარი გააცხადა და შუამავალს ასეთი რამ სთხოვა:

-- იქნებ, შუამავალო, ჩემთვის ვედრება გააკეთოთ.

-- როგორ ვედრებას ითხოვ კონკრეტულად?

-- ალლაჰმა რომ მაპატიოს, ჩემზე წყალობა გარდმოავლინოს და მამყოფოს გულით მდიდარი.

ალლაჰის შუამავალი ძალიან კმაყოფილი დარჩა ასეთი მოთხოვნით და ზუსტად ისე შეევედრა ღმერთს, როგორც ამ ახალგაზრდა კაცს სურდა.

ერთი წლის შემდეგ შუამავალი ვედა ხუთბისთვის ემზადებოდა და თუჯიბის მხრიდან მოსულ ხალხს იმ კაცის შესახებ შეეკითხა, ძალიან აინტერესებდა მისი მდგომარეობა. მას უთხრეს:

-- შუამავალო! არ მოიძებნება ამქვეყნად ისეთი მეორე კაცი, როგორც იმ ახალგაზრდა კაცივით მშვიდი და განონანსნორებულია, ამქვეყნიური ვერცერთი სიმდიდრე მას ვერ აკვირვებს და მისი მოპოვებისთვის საერთოდ არ მუშაობს, თუ გინდ უანგაროდ არიგებდნენ. შუამავალს ძალიან ესიამოვნა ასეთი რამის გაგონება და კიდევ ერთხელ მასზე ვედრება გააკეთა:

-- დიდება ალლაჰს! ღმერთო დიდებულო: გთხოვ ამ ახალგაზრდის ცხოვრება ისე გაგრძელდეს, როგორც ახლაა.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველნო! ვედრებებს შორის ერთერთი ყველაზე სასარგებლო ვედრება გულის გამდიდრებისათვის შესრულებული ვედრებაა. მხოლოდ ასე შეიძლება ადამიანმა შეამსუბუქოს ის ტვირთი, რომელსაც იგი ამქვეყნიური სიყვარულის გამო ატარებს.

ღმერთო დიდებულო: გთხოვთ გული შენი სიყვარულით გაგვიმდიდრე და შეგვაძლებინე შენი წმინდა წიგნის აიათების მიხედვით ბრძანებების შესრულება და აკრძალულებზე მორიდება.

„თუ გაემიჯნებით მძიმე ცოდვებს, რაც გეკრძალებათ, მოგიტევებთ ჩვენ ცოდვებსა თქვენსას და ღირსეულ შესასვლელში შეგიყვანთ თქვენ!“ (სურა ნისა 4/31)

უდიდესმა ალლაჰმა თავისი საყვარელი ადამიანების რიგში მოხვედრა, თავისივე წყალობით, დამსახურებულად გვაღირსოს. ამინ!

ყუზანდან შუამავლების კვლევები

ღმერთო ჩემო! მქმენ მეც და ჩემი შთამომავალნიც, ლოცვის მართებულად აღმსრულებლნი. ღმერთო ჩვენო! შეისმინე ჩემი ვედრება! იბრაჰიმი 14/40

ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება! იბრაჰიმი 14/41

ღმერთო ჩვენო! გვექმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი! ბაყარა 2/128

„ღმერთო ჩვენო! შეგვინდე ცოდვები ჩვენი, და გადაჭარბებანი (ჩვენნი) ჩვენს საქმეში, და განამტკიცე მუხლი ჩვენი (ჭეშმარიტ გზაზე) და ძლევა მოგვეცე (გაგვამარჯვებინე, შეგვენიე) ჩვენ ურწმუნო ხალხის წინაშე!“ ალი იმრანი 3/147

ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ ნაგებულთა შორის აღმოვჩნდებით! არაფ 7/23

„ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ მაღლიერი ვიყო იმისთვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვჰქმნა კეთილი საქმე, რომელსაც მოინონებ. და შემიყვანე შენს მონყალებაში მართლმორწმუნე მსახურებთან ერთად!“ ნემლი 27/19

მუჰამედ შუამავლის ვედრებებიდან

შუამავალი მუჰამედი ს.ა.ს. ურჩევდა თანამიმდევრებს შემდეგი ვედრების წაკითხვას:

„ოჰ, ალლაჰო! შენ ჩემი გამჩენი ხარ. შენ გარდა, თავყვანისცემის ღირსი, სხვა ღვთაება არ არსებობს. შენ შემქმენი. შენი მონა- მსახური ვარ. ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში შენდამი თავყვანისცემისა და ერთგულების ფიცი დავიცვა. დამიფარე, ჩემ მიერ ჩადენილი შეცდომებისა და ცოდვების სიავისგან. მაღლობას გიხდი შენგან ბოძებული ყველა სიკეთისთვის და გთხოვ ცოდვები მომიტოვო. მაჩუქე პატიება, რადგან შენ გარდა, არავინაა ცოდვების მიმტევებელი“.

(ბუხარი, დეავათ, 2; ებუ დავუდ, ედებ, 100-101)

შუამავალი მუჰამმედი ს.ა.ს ხშირად აღავლენდა ვედრებებს:

„ოჰ, ალლაჰო! გთხოვ, მომცე სამართლიანი საუბარი და სუფთა გული“.

(თირმიზი, დეავათ; ნესაი, სეჰვ, 61)



„ოჰ, ალლაჰო! ჩემი ყურების, თვალების, ენისა და გულის ზიანისგან შენ დამიფარე!“

(ებუ დავუდ, ვითრ, 32; თირმიზი, დეავათ, 28)

„ოჰ, ალლაჰო! არ არსებობს სხვა ღვთაება შენ გარდა! მე მხოლოდ შენ გადიდებ! გთხოვ, გამინიო ნყალობა და მომიტევო ჩემი ცოდვები! ოჰ, ალლაჰო! მომიმატე ცოდნა მას შემდეგაც, როდესაც ჭეშმარიტების გზაზე დამაყენებ, არ ჩამაგდო უმეცრებაში! აღმომიჩინე შენი მოწყალება! უეჭველად, შენ გულუხვი და გულმონყალე ხარ!“

(ებუ დავუდ, ედებ, 99)

საბავშვო მკვიდრი



იკოვით სურათებს შორის 7 განსაკვაკვაკა

